**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბრძანება №** 01-02/97

27 აპრილი, 2022 წელი ქ. ბათუმი

**ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ანნა ვარშანიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ დებულების მე-7-8 მუხლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა (15.04.2022, ოქმი N22-20/8) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES; 1 22 0000419170 26.04.2022 ) საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ისტორიის“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ანნა ვარშანიძის** სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა დაინიშნოს **2022 წლის 5 მაისს, 17.00 სთ.** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა № 35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი **(„ისტორია“)** სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) ჯემალ კარალიძე - ბსუ-ს პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2) მაია კიკვაძე - ბსუ-ს პროფესორი (კომისიის მდივანი);
3) ზაზა შაშიკაძე- ბსუ-ს პროფესორი);
4) ირაკლი ბარამიძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
5) მარინე ჯინჭარაძე - ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
6) ციური ქათამაძე - ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

7) ოლეგ ჯიბაშვილი - ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
8) უჩა ოქროპირიძე-ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
9) თამარ შალიკაძე - არქეოლოგიის დოქტორი, აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი.

3. ბრძანება ჩაბარდეს დოქტორანტს და განთავსდეს მის პირად საქმეში.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს ( პროფესორი მ. კიკვაძე).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. N 30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში